საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA

საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ. 6ª, ტელ: 72-72-00, 72-72-20 ფაქსი: 72-72-37,

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე

№ 38

„18 " ივნისი " 2010წ.

I. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება – ცემენტის წარმოება
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი – შპს „რუსთავი V.G.", ქ. რუსთავი, მაიაკოვსკის ქ. №9/7.
3. განხორციელების ადგილი – ქ. რუსთავი, წერეთლის ქ. №41ª.
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 20.05.2010წ.
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – შპს „წარმოების ეკოლოგია".

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით შპს „რუსთავი V.G."-ს მიერ ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ცემენტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

საქმიანობის განხორციელებეის ადგილმდებარეობაა ქ. რუსთავი, წერეთლის ქ.№41ა. საწარმო განლაგებულია სამრეწველო ზონაში, იჯარით აღებულ 600 მ² ფართობის მიწის ნაკვეთზე. აღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა ცემენტის დაფასოების საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განხილულია პროექტის განხორციელების ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი. საწარმო დაშორებულია საცხოვრებელი მასივიდან 100 მ მანძილით და მასში დასაქმებულია 6 ადამიანი.

გზშ-ს ანგარიშში განხილულია: გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი

- ✓ ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება;
- ✓ საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიური პირობები;
- ✓ კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები;
- ✓ ჰიდროლოგიური ქსელი;
- ✓ ფაუნა და ფლორა;
- ✓ ეკოლოგიური მდგომარეობა;

საწარმოს პროდუქციაა – პორტლანდცემენტი, სამშენებლო დანიშნულების წვრილმარცვლოვანი ფხვნილი – მიიღება პორტლანდცემენტის კლინკერის, თაბაშირშემცველი მასალისა და დანამატების ერთდროული დაფქვით.

შპს "რუსთავი V.G." კლინკერს არ აწარმოებს, მას ის შემოაქვს.

ანგარიშის თანახმად, ცემენტის წარმოება წელიწადში 300 სამუშაო დღით და დღეში 8 საათიანი მუშაობის რეჟიმის პირობებში, შეადგენს 7200 ტ ცემენტს წელიწადში, რისთვისაც საწარმო გამოიყენებს 5760 ტ კლინკერს, 360 ტ თაბაშირსა და 1100 ტ დანამატებს.

ცემენტის მიღება ხდება შემდეგი ტექნოლოგიით: კლინკერის, თაბაშირისა და მეტალურგიული ქარხნის ბრძმედის ნაყარი წიდასაგან დადგენილი რეცეპტის შესაბამისი თანაფარდობით, დამზადებული კაზმი იყრება მიმღებ ბუნკერში, საიდანაც ლენტური ტრანსპორტიორით გადადის ბურთულებიან წისქვილში დასაფქვავად. საწარმოს გააჩნია ბურთულებიანი წისქვილი (1456 АУЗ), წარმადობით 3 ტ/სთ. წისქვილიდან მიღებული მზა პროდუქცია – ცემენტი – პნევმოტრანსპორტიორის საშუალებით გადადის სილოსებში (3 ცალი), ჯამური ტევადობით 195 ტ. აქედან ცემენტი მომხმარებელს მიეწოდება ცემენტმზიდებით.

ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებას ადგილი აქვს საწარმოო ციკლით გათვალისწინებულ ეტაპებზე. გ.ზ.შ. ანგარიშის თანახმად გარემოს დაბინძურების დადგენილი წყაროებია:

- ნედლეულის მიღება-დასაწყობება;
- ნედლეულის შესანახი საწყობი;
- ჩაყრა კაზმის ბუნკერებში;
- ლენტური ტრანსპორტიორი;
- ბურთულებიანი წისქვილი;

- ტრანსპორტირება სილოსებში;
- პროდუქციის ცემენტმზიდში გადატვირთვა.

ემისიების გარემოში გავრცელების შემზღუდავი საშუალებების გამოყენების გარეშე საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის განხორციელება წარმოშობს კონცენტრაციებს, რომლებიც საგრძნობლად აჭარბებენ ზ.დ.კ.-ს დასაშვებ ნორმებს.

საწარმოს მიერ გაფრქვეული ჰაერის ძირითადი დამაბინძურებლებია არაორგანული მტვერი და ცემენტის მტვერი. ასპირაციისა და ცემენტის დანაკარგის აცილების მიზნით ცემენტის წისქვილზე დამონტაჟებულია ორსაფეხურიანი გამწმენდი სისტემა. პირველ საფეხურზე ციკლონი (СЦН-40, მტვერდაჭერა 90 %) და შემდეგ სახელოებიანი ფილტრები (მტვედაჭერა 99,9 %). სახელოებიანი ფილტრებით (მტვედაჭერა 99,9 %) აღჭურვილია საწარმოს სამივე სილოსიც.

გ.ზ.შ.-ს ანგარიშში მოყვანილია მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების გათვლები თითოეული გაფრქვევის წყაროს მიხედვით. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშმა აჩვენა, რომ ობიექტის ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არაორგანული მტვერის, ცემენტის მტვერისა და ჯგუფის (არაორგანული მტვერი+ცემენტის მტვერი) კონცენტრაციები არ აჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მათ მნიშვნელობებს საწარმოსთან უახლოეს დასახლებულ პუნქტთან (100 მ), რის გამოც მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების რაოდენობები კვალიფიცირდება, როგორ ზღვრულად დასაშვები.

ზედაპირული წყლების დაბინძურების ფაქტორები საწარმოს არ გააჩნია. ნიადაგზე ზემოქმედებას ადგილი აქვს მხოლოდ საწარმოს ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტიდან ნავთობპროდუქტების შემთხვევით დაღვრის შემთხვევაში. საწარმოს ტერიტორიაზე არ ხორციელდება მისი კუთვნილი ავტოტრანსპორტის ტექმომსახურება.

წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესში წყალი არ გამოიყენება. წყლის გამოყენება ხდება მომსახურე პერსონალის სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის და მისი წლიური ხარჯი შეადგენს 360 მ³/წელ.

წყლის გამოყენება გათვალისწინებულია ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისათვისაც. წყალმომარაგება ხორციელდება ქ. რუსთავის წყალმომარაგების სისტემიდან.

სამეურნეო-ფეკალური წყლებისათვის საწარმოს გააჩნია ამოსაწმენდი ორმო, რომლის დაცლა ხდება შესაბამის სამსახურთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

გზშ-ს ანგარიშში განხილულია მოსალოდნელი ავარიული სიტუაციები, შესაბამისი რეაგირების პროგრამები, მოცემულია ავარიების პრევენციისა და ლიკვიდაციის კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალი.

განხილულია ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები და ხანძარქრობის გეგმები. აღწერილია საწარმოს ხანძარსაწინააღმდეგო მეურნეობა.

საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესში წარმოიქმნება ნარჩენები მტვრის სახით, რომლის დაჭერა ხორციელდება მტვერდამჭერ სისტემებში. ეს ნარჩენები უბრუნდება საწარმოს კვლავწარმოებაში ნედლეულის სახით.

გზშ-ს ანგარიშის თანახმად, საყოფაცხოვრებო ნარჩენები განთავსდება საწარმოს ტერიტორიაზე დადგმულ კონტეინერებში და პერიოდულად გატანილ იქნება დასუფთავების კომუნალური სამსახურის მიერ და მათი წლიური რაოდენობა შეადგენს 12 მ³-ს.

მეტალის ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში მათი რეალიზება ხდება ჯართის მიმღებ პუნქტებში (წელიწადში 0.5 ტ ოდენობით).

გაანგარიშებულია ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ხმაურის დონე და ანგარიშის თანახმად, ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ხმაურის დონე არ აჭარბებს დასაშვებ ნორმებს უახლოეს დასახლებულ პუნქტთან.

ანგარიშში განხილულია გარემოსდაცვითი მონიტორინგის წარმოების გეგმები საქმიანობის განხორციელების მიმდინარეობისა და დასრულების ეტაპებისათვის.

გზშ-ს ანგარიშში აგრეთვე განხილულია გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისა და თავიდან აცილების ღონისძიებები:

- ✓ გარემოში მავნე ნივთიერებათა გამოყოფის შემცირების ტექნიკური საშუალებები;
- ✓ ნარჩენები და მათი გაუვნებელყოფა-ლიკვიდაციის მართვის წინადადებები;
- ✓ პროექტის განხორციელების შემდგომი სიტუაციის ანალიზი მოსალოდნელი ემისიების სახეობები და რაოდენობები;

გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილია, „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტი" და „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში", რომელიც შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნების საფუძველზე შეთანხმებულია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად გამოვლენილი შენიშვნები პირობების სახით ასახულია წინამდებარე დასკვნის III თავში.

II. პირობები

შპს „რუსთავი V.G."-ს ხელმძღვანელობა ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს გზშ ანგარიშით გათვალისწინებული ტექნოლოგიური სქემის შესაბამისად:

1. საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა აწარმოოს გარემოს მდგომარეობის მონიტორინგი (მათ შორის ყოველ კვარტალში გამოფრქვევების წყაროების თვითმონიტორინგი) როგორც ქარხნის ტერიტორიაზე ასევე მის გარეთ.
2. ყოველწლიურად განახორციელოს მტვერდამჭერ მოწყობილობათა პასპორტიზაცია.
3. ჩაატაროს სამუშაოები ქარხნის ტერიტორიაზე დაბინძურებული ადგილების სანაციის (გასუფთავების) მიზნით.
4. სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში ემისიების ნორმატიულობის დასადასტურებლად 2 თვის განმავლობაში წარმოდგენილი უნდა იქნეს საწარმოს ტერიტორიასა და უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მიწისპირა ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის შედეგები (არაორგანული მტვერი + ცემენტის მტვერი).
5. სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2 თვის განმავლობაში წარმოდგენილი იქნეს უახლოეს დასახლებულ პუნქტთან ხმაურის ინტენსივობის მონიტორინგის შედეგები სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში.
6. საწარმოს ხელმძღვანელობა ვალდებულია სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში უზრუნველყოს მათი უსაფრთხო განთავსება, გატანა-გაუვნებელყოფა.
7. საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში" წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება.

IV. დასკვნა

შპს „რუსთავი V.G.”-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ცემენტის წარმოების კგარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემთხვევაში.

ლიცენზიებისა და ნებართვების

სამსახურის უფროსი

<u>ნიკოლოზ ჭახნაკია</u>

(სახელი, გვარი)



ბ.ა.

(ხელმოწერა)

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1-287

ქ. თბილისი "18" 06 2010 წ.

შპს „რუსთავი V.G."-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ გ" ქვეპუნქტისა და ამავე კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „რუსთავი V.G."-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა „ცემენტის წარმოება"-ზე.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.
3. ნერბართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება.
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს შპს „რუსთავი V.G"-ს.
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. ბილისი, ინგოროყვას ქ.№7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №38; 18.06.2010წ და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, გარემოს დაცვის ინსპექციას, შპს „რუსთავი V.G"-ს.

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

2020 წლის 18 [illegible] შპს "[illegible] V.G."-ის [illegible] N38 [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

[illegible] N38 [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

[illegible] 3 [illegible].

შპს "[illegible] V.G." [illegible] [illegible] [illegible] [illegible]

საქართველოს
[illegible]
№ 10239
"18" 07 2014 წ.

Engel: 16.07.2014

599 58 67 11

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N000097

კოდი MD1 „28" „07" 2014.

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი შპს „რუსთავი V.G."

2. საქმიანობის მიზანი ცემენტის წარმოება

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა
ქ. რუსთავი, წერეთლის ქ. N 41ა

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია შპს „წარმოების ეკოლოგია"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N38. 18.06.2010.

7. ნებართვის პირობები ნებართვა მოქმედებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემთხვევაში

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს
უფლებამოსილი წარმომადგენელი გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
(გვარი, სახელი, თანამდებობა) დეპარტამენტის უფროსი
თამარ ჭარაძე

ბ.ა. [signature]

დამკვეთი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „კაბადონი +"
სფს-ს რეგისტრაციის N 26-4034

N 000097

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060108728305814

ბრძანება №-442

ქ. თბილისი

28 / ივლისი / 2014 წ.

შპს „რუსთავი V. G."-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78–ე მუხლისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე–17 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „რუსთავი V. G."-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის დუბლიკატი ცემენტის წარმოებაზე (ქ. რუსთავი, წერეთლის ქ. №41ა);
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „რუსთავი V. G."-ზე 2010 წლის 18 ივნისს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა №000031;
3. ნებართვის მოქმედების ვადა - უვადო;
4. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის უწყებრივი სანებართვო რეგისტრაციის ჟურნალში შესაბამისი ცვლილების განხორციელება;
5. ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „რუსთავი V. G."-ს;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „რუსთავი V. G."-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქ. №7), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მაია ბერაძისმოხსენებითი ბარათი; შპს „რუსთავი V. G."-ს (16.07.2014 წ.) წერილი.

მინისტრი ელგუჯა ხოკრიშვილი

შ.პ.ს. „რუსთავი V.G.“

№02/007 04.08.2014წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის მინისტრს ~~ქალბატონ~~ ელგუჯა ხოკრიშვილს
შ.პ.ს. „VIVACEMENT“-ის დირექტორი ზურაბ ტოგონიძის და
შ.პ.ს. „რუსთავი V.G.“ -ის დირექტორი ლევან ენაგელის

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
№ 11379
„06“ 08 2014

ერთობლივი განცხადება

ქალბატონო ხათუნა

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შ.პ.ს. „რუსთავი V.G.“ -ზე (ს/კ 216454012) 2014წ. 28 ივლისს [illegible] №000097 [illegible] №9/7-ზე (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით).

გვსურს აღნიშნული ნებართვა საკუთრებაში გადაეცეს შ.პ.ს. „VIVACEMENT“-ს.

შ.პ.ს. „VIVACEMENT“ (ს/კ 416306045) თანახმაა საკუთრებაში მიიღოს აღნიშნული ნებართვა შეასრულოს და დაიცვას აღნიშნულ ნებართვაში მითითებული ყველა პირობა და ვალდებულება, რაზეც ვაწერთ ხელს.

პატივისცემით,

შ.პ.ს. „VIVACEMENT“-ის დირექტორი: ზ. ტოგონიძე

შპს "VIVACEMENT" LTD საქართველო vivacement GEORGIA 416306045

შ.პ.ს. „რუსთავი V.G.“-ის დირექტორი; ლ. ენაგელი

---

599 58 67 11

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060101091762914

ბრძანება No-478

ქ. თბილისი 06 / აგვისტო / 2014 წ.

შპს „რუსთავი V.G."–ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს „vivacement"–ზე გადაცემის შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის" შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „რუსთავი V.G."–ს ცემენტის წარმოებაზე (ქ. რუსთავი, წერეთლის ქ. № 41ა) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცეს შპს „vivacement"–ს;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის 2010 წლის 18 ივნისის №38 დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
3. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანა და ახალი სანებართვო მოწმობის გაცემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „რუსთავი V.G."–სა და შპს „vivacement"–ს;
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „რუსთავი V.G."–ზე 2014 წლის 28 ივლისს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა №000097;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „რუსთავი V.G."–სა და შპს „vivacement"–ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: შპს „რუსთავი V.G."–სა და შპს „vivacement"–ის დირექტორების ერთობლივი განცხადება; მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულება და გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის თამარ შარაშიძის მოხსენებითი ბარათი.

მინისტრი ელგუჯა ხოკრიშვილი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N000103

კოდი MD1 „06" „08" 2014

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი ,,vivacement"

2. საქმიანობის მიზანი

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა
ქ. [illegible], [illegible] ქ. №41ა

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია

6. ნებართვის გაცემის საფუძველი
№ 38. 18. 06. 2010.

7. ნებართვის პირობები

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი
(გვარი, სახელი, თანამდებობა)

ბ.ა.

დამკვეთი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „კამადონი +"
სფს-ს რეგისტრაციის N 26-4034

N 000103